

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის
(ს/კ 60001056477)

სკრინინგის განცხადება

წარმოგიდგენთ ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის (ს/კ 60001056477) ქ. ქუთაისის, სულხან-საბას ქ. N8-ში განთავსებულ ნარჩენების გადამამუშავებელი - მეორადი პოლიეთილენის დანაწევრებული თოკების გადამამუშავებელი საამქროს სკრინინგის ანგარიშს.

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მეორადი, პოლიეთილენის, დანაწევრებული თოკების გადამამუშავება და მეორადი პოლიეთილენის ფხვნილის „დაფქვილი მასის“ - წარმოება და შემდგომ რეალიზაცია.

საამქრო ფუნქციონირებს 2022 წლიდან და აწარმოებს მეორადი პოლიეთილენის ფხვნილს. ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქრო შემოწმებული იქნა 2022 წლის ივლისის თვეში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ და საამქროში გამოვლენილ დარღვევაზე გატარდა შესაბამისი ღონისძიება.

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროში ხდება მეორადი პოლიეთილენის გადამამუშავება (ნარჩენების აღდგენა) მეორადი ნედლეული მასალის (პოლიეთილენის ფხვნილის) მიღების მიზნით (აღდგენის კოდი R3).

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწრი დამუშავებისა“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწრი დამუშავებისა“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, ამის გათვალისწინებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე

(ს/კ 60001056477

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე

ქ. ქუთაისი, სულხან საბას ქ, N 8

მეორადი პოლიეთილენის ნარჩენების გადამამუშავებელი
საამქროს

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი :

შპს „ელსჰაუსი“

ს/კ 412756334

დირექტორი ზ.კვაბზირიძე

ტელ: 591-97-50-90

„14“ აგვისტო 2022წ



დამკვეთი:

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე

პ/ნ 60001056477

ტელ: 568-30-32-29

„14“ აგვისტო 2022წ

A handwritten signature in blue ink, consisting of several loops and a long horizontal stroke.

შინაარსი

- შესავალი ----- გვ. 3
1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ ----- გვ.4
 2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა ----- გვ.5
 3. პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნიკური მაჩვენებლები და ტექნოლოგიური აღწერა ----- გვ.5-6
 4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება ----- გვ.6-7
 5. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა ----- გვ.7-8
 6. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება ----- გვ. 8
 7. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება ----- გვ.8-9
 8. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე ----- გვ.9-10
 9. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება ----- გვ. 10-11
 10. ნიადაგის, გრუნტის, იწისქვეშა და ზედაპირ. წყლების დაბინძურების რისკები- გვ.11
 11. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება ----- გვ. 11-12
 12. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება -- გვ. 12
 13. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფთხოებაზე ----- გვ. 12-13
 14. კუმულაციური ზემოქმედება ----- გვ. 13
 15. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება ----- გვ. 13
 16. დანართი:
 - სურათი N1
 - გენ-გეგმა, ორთო ფოტო
 - სამეწარმეო ამონაწერი
 - იჯარის ხელშეკრულება

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის (ს/კ 60001056477) ქ. ქუთაისის, სულხან-საბას ქ.N8-ში განთავსებულ ნარჩენების გადამამუშავებელი - მეორადი პოლიეთილენის დანაწევრებული თოკების გადამამუშავებელი საამქროს სკრინინგის ანგარიშს.

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მეორადი, პოლიეთილენის, დანაწევრებული თოკების გადამამუშავება და მეორადი პოლიეთილენის ფხვნილის „დაფქვილი მასის“ - წარმოება და შემდგომ რეალიზაცია.

საამქრო ფუნქციონირებს 2022 წლიდან და აწარმოებს მეორადი პოლიეთილენის ფხვნილს. ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქრო შემოწმებული იქნა 2022 წლის ივლისის თვეში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ და საამქროში გამოვლენ დარღვევაზე გატარდა შესაბამისი ღონისძიება.

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროში ხდება მეორადი პოლიეთილენის გადამამუშავება (ნარჩენების აღდგენა) მეორადი ნედლეული მასალის (პოლიეთილენის ფხვნილის) მიღების მიზნით (აღდგენის კოდი R3) .

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწრი დამუშავებისა“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწრი დამუშავებისა“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, ამის გათვალისწინებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემამუშავებელი იქნა სკრინინგის ანგარიში.

1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში

ცხრილი N1

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	ი/მ „თეიურაზ კუხიანიძე“
საიდენტიფიკაციო კოდი	60001056477
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ.ქუთაისი, ნ. ბარათაშვილის ქ, N26
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ.ქუთაისი, სულხან-საბას ქ, N8
საქმიანობის სახე	ნარჩენების - მეორადი პოლიეთილენის (დანაწევრებული თოკების) გადამამუშავებელი საამქრო
დირექტორი	თეიმურაზ კუხიანიძე
საკონტაქტო ტელეფონი	568 303 229
ელ.ფოსტა	Kuxianidze87@mail.ru
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელს ჰაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	591-97-50-90
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ქ. ქუთაისი სულხან-საბას ქ, N8 არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკ. კოდი 03.05.04.122
განთავსების ადგილის კოორდინატი	X -307719, Y -4679942
საპროექტო წარმადობა	
ნარჩენების - მეორადი პოლიეთილენის, დანაწევრებული თოკების გადამამუშავება	42 ტ/წელ.
გამომუშავებული პროდუქცია	მეორადი პოლიეთილენის ფხვნილი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	240დღე/ წელ
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში,სთ	8სთ
დაშორებულ უახლოეს საცხოვრებელი სახლიდან	150 მ

2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის (ს/კ60001056477) კუთვნილი ნარჩენების გადამამუშავებელი - მეორადი პოლიეთილენის დანაწევრებული თოკების გადამამუშავებელი საამქრო განთავსებულია იჯარის ხელშეკრულებით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 03.05.04.122), ქ. ქუთაისი სულხან-საბას ქ. N8-ში. ტერიტორია წარმოადგენს შპს „ქუთაისი“ საქართველოს უსინათლოთა კავშირის საქმიან ეზოს, სადაც განთავსებულია სხვა და სხვა საწარმოო ობიექტები. (იხ. დანართი ხელშეკრულება და სამეწამეო ამონაწერი).

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის ნარჩენების (მეორადი პოლიეთილენის დანაწევრებული თოკების) გადამამუშავებელი საამქროსთვის განკუთვნილი 70კვ.მ ფართობის კაპიტალური ერთსართულიანი შენობა-ნაგებობა აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია წლების წინ. საამქრომ ფუნქციონირება დაიწყო 2022 წლიდან.

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროს შენობას ირგვლივ ესაზღვრება როგორც საქმიანი ეზოს საწარმოო ობიექტების შენობები, ასევე აღმოსავლეთის მხრიდან სულხან საბას გამზირი და საქმიანი ეზო შპს „უნივერსალი-99“, სამხრეთით შპს „ჩვენი ეზო“, ტარიელ რევიშვილის სასაწყობე ნეშობა-ნაგებობა და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთით შპს „ტაო“-ს სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები და ჩრდილო დასავლეთით - სს „გრანიტი“-ს საქმიანი ეზო,

საამქროს შენობიდან 150 მ მანძილის მოშორებით სამხრეთით ფიქსირდება მედეა ბაღდავაძის უახლოესი საცხოვრებელი სახლი (საკ. კოდი 03.05.24.295)

საამქროს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ აღინიშნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით დაფარული ტერიტორია და წითელი ნუსხის სახეობები.

(იხ.დანართი საწარმოს სიტუაციური ნახაზი, საწარმოს გენ-გეგმა)

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საწარმოს განთავსების GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	307719	4679942
2	307724	4679938
3	307717	4679938
4	307713	4679932

3. პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნიკური მაჩვენებლები და ტექნოლოგიური აღწერა

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს შენობის ფართი 70მ²-ია. ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარებს დახურულ შენობაში, სადაც განთავსებულია ტექნოლოგიური დანადგარები: ერთი კუსტარული გრანულატორი და ერთი როტაციული დამქუცმაცებელი. რატაციული დამქუცმაცებლის მაქსიმალური წარმადობაა 20 კგ/სთ,

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე საამქროსთვის ნედლეულის შესყიდვას ახორციელებს ი/მ გია კარტოზიადან, ქ. ფოთიდან. ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს (მეორადი პოლიეთილენის დანაწევრებული თოკები). საამქრო ღებულობს მხოლოდ პოლიეთილენის დანაწევრებულ მეორად თოკებს და არ ხდება ნავთობპროდუქტებით ან სხვა სახიფათო მასალებით დაბინძურებული პოლიეთილენის ნარჩენების მიღება. შესაბამისად საამქროში სარეცხი დანადგარების გამოყენების საჭიროება არ არსებობს.

საამქროში წარმოებული პროდუქცია წარმოადგენს პოლიეთილენის ფხვნილს. საწარმოში წარმოებული მზა პროდუქცია - მეორადი პოლიეთილენის ფხვნილი სხვა საწარმოებთან წარმოადგენს ნედლეულს.

საამქროში ნედლეულის (არასახიფათო ნარჩენების) შემოტანა/ტრანსპორტირება განხორციელდება გარემოსდაცვითი წესების სრული დაცვით ავტოტრანსპორტით, ტომრებში (ბიგ-ბეგებში) განთავსებული და საწყობდება საამქროს შენობაში. ნარჩენების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა და ტრანსპორტირებისას მაქსიმალურად გამორიცხულია ნარჩენების დაკარგვა და გაფანტვა გარემოში.

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძის საამქროში დასაქმებულია ერთი ადამიანი (კაცი).

საამქრო ახორციელებს წელიწადში 42 ტ/წელ არასახიფათო ნარჩენების გადამამუშავებას. საამქრო მუშაობს ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით, 8 საათიანი სამუშაო დღით, წელიწადში 240 დღე ანუ 1920 საათი.

დანადგარების დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები მოცემულია ცხრილი N 3
ცხრილი N3

N	დანადგარის დასახელება	სამარკო სახელწოდება	ტექნიკური მახასიათებლები
1	გრანულატორი	კუსტარული	20კგ/სთ-ში
2	როტაციული დამქუცმაცებელი	კუსტარული	მაქსიმალური საათური წარმადობა 20კგ/სთ

4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

საამქროში გადასამუშავებელი ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს - პოლიეთილენის მეორად დანაწევრებულ თოკებს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N246 დადგენილების „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხისა და კლასიფიკაციის შესახებ“ შეაბამისად კონკრეტულად აღნიშნული ნარჩენების (მეორადი პოლიეთილენის დანაწევრებული თოკების) იდენტიფიცირება შეუძლებელია, თუმცა იქედან გამოდინარე, რომ პოლიეთილენის თოკები გამოყენებულია გემით ტვირთის გადატანის დროს, კერძოდ გემზე კონტეინერებით სხვა და სხვა სახის მოძრავი ტვირთის (ავტომობილების, ავეჯის, და სხვა) შესაკრავად, დასაკიდებლად, დასაბმელად ან/და დასამაგრებლად. გამოყენების შემდეგ რჩება დანაწევრებული თოკები, რომელიც წარმოადგენს ნარჩენს და შესაძლებელია ნარჩენს მიეთითოს კოდი: 15.01.02 .

ნარჩენების აღდგენის ოპერაციის კოდია R3 - „იმ ორგანული ნივთიერებების რეციკლირება/აღდგენა, რომლებიც არ გამოიყენება როგორც გამხსნელები, ითვალისწინებს პლასტმასის ე.წ. მეორეული მექანიკური რეციკლირებას“

ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე ნედლეულის შემენას ახდენს ი/მ გია კარტოზიიდან ხელშეკრულების საფუძველზე. ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე არ ახდენს ნარჩენების შეგროვებას.

საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეული შემოიზიდება კონტრაქტორების მიერ სატრანსპორტო საშუალებებით, ტომრებში (ბიგ-ბეგებში) განთავსებული.

მეორადი პოლიეთილენის ფხნილის საწარმოებლად წლის განმავლობაში საჭირო ნედლეულის რაოდენობა შეადგენს დახლოებით 42ტ-ს. ნედლეული უნარჩენოდ გადადის პროდუქციაში. დაქუცმაცებისას ტექნოლოგიური დანაკარგი არის დაახლოებით 10%. აღნიშნული „დაქუცმაცებისას ტექნოლოგიური დანაკარგი არის დაახლოებით 10%“ - გულისხმობს „ტექნოლოგიურ დანაკარგს“ და რაც გამოწვეულია დანადგარში მეორადი პოლიეთილენის დაქუცმაცებით ე.ი „მექანიკური დანაკარგი“. პოლიეთილენის დაქუცმაცების -მექანიკური გადამუშავების დროს „მექანიკური დანაკარგი“ წარმოიქმნება მტვერის (პოლიმერული მტვერის) სახით და გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში, რაზედაც საანგარიშო მეთოდის შესაბამისად ჩატარებულია ემისიების გაანგარიშება. ტექნოლოგიური პორცესის დროს სხვა სახის ნარჩენის წარმოქმნას ადგილი აქვს.

საამქრო წლის განმავლობაში ახორციელებს 37.80 ტ მეორადი პოლიეთილენის ფხნილის წარმოებას. მიღებული მზა პროდუქცია (მეორადი პოლიეთილენის ფხნილი) იყრება ტომრებში და დაფასოებული ხდება შემდეგ რეალიზაცია.

ტექნოლოგიურ პროცესისათვის საჭიროა მხოლოდ ენერგორესურსები, რომლის მოწოდებაც ხორციელდება ენერგო-პროჯორჯიას უახლოესი ქვესადგურიდან. ხელშეკრულების საფუძველზე. ტექნოლოგიურ პროცესში საამქროს წყალი არ ესაჭიროება.

5. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

საწარმოო პროცესი იწყება პოლიეთილენის მეორადი თოკების ნარჩენების მიღებით, აღნიშნული ნარჩენების გადამუშავება ხორციელდება უმარტივესი მეთოდით, ნედლეული შემოიზიდება სატრანსპორტო საშუალებით, დასაწყობდება ტომრებით საამქროში. საამქრო არ ღებულობს ნავთობპროდუქტებითა და სხვა სახიფათო მასალებით დაბინძურებული პოლიეთილენის ნარჩენებს.

პირველ ეტაპზე ხდება ნედლეულის- დანაწევრებული პოლიეთილენის თოკების გრანულატორში ფორმირება და შუალედური პროდუქტის - ე.წ. „ჩიფსების“ მიღება. მეორე ეტაპი მოიცავს შუალედული პროდუქტის - ე.წ. „ჩიფსების“ როტაციულ დამქუცმაცებელში დაფქვას და საბოლოო პროდუქტის - მეორადი პოლიეთილენის ფხვნილის წარმოებას.

ტექნოლოგიური ციკლის შესაბამისად, მუშა პერსონალის მიერ ნედლეული - დანაწევრებული პოლიეთილენის თოკები ხელით მიეწოდება კუსტარულ გრანულატორს, რომლის წარმადობა შეადგენს 15კგ/სთ-ში. გრანულატორში ხდება პოლიეთილენის გრანულირება. გრანულატორისთვის დღიური სამუშაო დრო განისაზღვრება 8 სთ-ით. ამის შემდეგ პოლიეთილენის გრანულები ე. წ. „ჩიფები“ უკვე მზადაა როტაციულ დამქუცმაცებელში ჩასაყრელად.

ე. წ. „ ჩიფსები“ -ის გადამუშავება (დაქუცმაცება) ხდება სპეციალური მოწყობილობაში - როტაციულ დამქუცმაცებელში, რომლის მაქსიმალური წარმადობაა 20 კგ/სთ-ში. ნარჩენების დაქუცმაცებას როტაციული დამქუცმაცებლის მიმღებ ბუნკერში ნედლეულის ჩაყრა ხდება მუშა პერსონალის ხელით დაქუცმაცებული ნარჩენებიდან მიიღება პოლიმერის „დაფქვილი“ მასა მზა პროდუქტია, რომელიც იყრება ბუნკერის ქვედა სარქველით სპეციალურ ავზში, საიდანაც ისევ მუშა პერსონალის მიერ ხელის ნიჩბით იყრება ტომრებში და დაფასობული გამზადდება სარეალიზაციოდ. მიღებული მზა პროდუქტია (პოლიმერის „დაფქვილი“ მასა“ მეორადი პილიმერი) დროებით რეალიზაციამდე საწყობდება საამქროს შენობაში.

მეორადი პოლიეთილენის ფხვნილის საწარმოებლად წლის განმავლობაში საჭირო ნედლეულის - მეორადი პოლიეთილენის დანაწევრებული თოკების რაოდენობა შეადგენს დახლოებით 42ტ-ს. ნედლეული უნარჩუნოდ გადადის პროდუქციაში. დაქუცმაცებისას დანაკარგი არის 10%. საამქრო წლის განმავლობაში ახორციელებს 37,80ტ მეორადი პოლიეთილენის ფხვნილის წარმოებას, შემდგომი რეალიზაციის მიზნით.

6. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

საამქროს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე წყალი არ ესაჭიროება. საამქროში დასაქმებულია ერთი ადამიანი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სასმელი) წყლის გამოყენება ხდება საამქროს განთავსების ტერიტორიაზე „საქმიანი ეზოს“ ცენტრალური წყამომარაგების ქსელიდან. ასევე „საქმიან ეზოს“ აქვს საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძი და საპირფარეშო, რომელიც მოწყობილია ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე საამქროში არ წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები და შესაბამისად საწარმოდან არ არის მოსალოდნელი ზედაპირული წყლის დაბინძურება.

7. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

საამქროში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებისა და გამოყენებული ნედლეულის გათვალისწინებით გარემოში არ გამოიყოფა სახიფათო და ტოქსიკური (საშიშროების მაღალი კლასის) ნივთიერებები. ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს. საამქროს ექსპლუატაციის დროს ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერება არის პოლიმერული მტვერი, რომლის გამოყოფის ინტენსივობა იმდენად დაბალია, რომ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით შედეგებს ვერ მოახდენს.

ობიექტის საქმიანობის განხორციელებისას განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები:

- ❖ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება;
- ❖ ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების რისკები;
- ❖ ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება;
- ❖ მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები;
- ❖ ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები;
- ❖ ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ❖ ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე;
- ❖ კუმულაციური ზემოქმედება.

8. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საამქრო ექსპლუატაციის დროს მნიშვნელოვან გავლენას ატმოსფერულ ჰაერზე ვერ მოახდენს, რადგან ტექნოლოგიური პროცესის დროს ატმოსფერულ ჰაერში არ ხდება სახიფათო ნივთიერებების გამოყოფა. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გამოიხატება: როტაციული დამქუცმაცებლის ფუნქციონირებისა ატმოსფერულ ჰაერში პოლიმერული მტვრის გამოყოფით.

საამქროს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს წარმოადგენს როტაციული დამქუცმაცებელი, და გრანულატორი, რომელთა ფუნქციონირების დროს ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა პოლიმერული მტვერი, ძმარჟავა და ნახშირჟანგი . (ნივთიერების მახასიათებელი სიდიდე მოცემულია ცხრილი N2-ში.

ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გამოიხატება: ნედლეულის გრანულატორში დნობისა და როტაციულ დამქუცმაცებელში დაქუცმაცების დროს ატმოსფერულ ჰაერში პოლიმერული მტვრის, ძმარჟავასა და ნახშირჟანგის გამოყოფით.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები მოცემულია ცხრილ - 2-ში

ცხრილი 2. ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
988	პოლიმერული მტვერი	---	0,1	3
1555	ძმარჟავა	0,2	0,06	3
337	ნახშირჟანგი	5,0	3,0	4

ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს კუსტარული გრანულატორი და როტაციული დამქუცმაცებელი. ამ დროს შესაძლებელია გარემოში გამოიყოს:

- ❖ პოლიმერული მტვერი,
- ❖ ძმარჟავა
- ❖ ნახშირჟანგი

ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების გაანგარიშება ხდება „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის

ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, რეგლამენტის 79-ე დანართის შესაბამისად ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოცემულია N 3 ცხრილში

ცხრილი N3

დამაბინძურებელი ნივთიერება		ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი დაგამუშავებული მასალის მასის ერთეულზე გ/კგ
კოდი	დასახელება	
0988	პოლიმერული მტვერი	1,35
1555	ძმარმჟავა	1,6
0377	ნახშირჟანგი	0,85

ემისიების გაანგარიშება პლასტმასის ნარჩენების დამქუცმაცებელი დანადგარიდან ჩატარებულია სახელმძღვანელო მეთოდიკის დანართი 82-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პოლიპროპილენის დაქუცმაცების დროს საწარმოში დამონტაჟებული დანადგარისათვის ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,7გ/კგ-ზე.

აღნიშული მონაცემების გათვალისწინებით პლასტმასის დაქუცმაცების დროს მტვრის გაფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$G_{ატმ.} = 20 \times 0.7 / 3600 = 0,00388 \text{ გ/წმ}$$

იმის გათვალისწინებით რომ დანადგარის წლიური სამუშაო ფონდია 1920 სთ/წელ მაშინ წამური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$$M = 0.00388 \text{ გ/წმ} \times 3600 \text{ წმ} \times 1920 \text{ სთ/წელ} \times 10^{-6} = 0,0268 \text{ ტ/წელ}$$

ასპირაციის არ არსებობის შემთხვევაში მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით მყარი შეწონილი ნაწილაკების ემისიისათვის გამოიყენება კოეფიციენტი 0,4 ამ კოეფიციენტის გამოყენებით გამოყოფილი მტვრის გაფრქვევის სიმძლავრე იქნება:

$$G_{ატმ.} = 0,00388 \text{ გ/წმ} \times 0.4 = 0,00155 \text{ გ/წმ}$$

$$M = 0.00155 \text{ გ/წმ} \times 3600 \text{ წმ} \times 1920 \text{ სთ/წელ} \times 10^{-6} = 0,0107 \text{ ტ/წელ}$$

პოლიეთილენის გრანულირების დროს ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა აირად ფაზაში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებები: კერძოდ, ნახშირბადის ოქსიდი, ძმარმჟავა (ეთანმჟავა) და უჯერი ნახშირწყალბადები.

ემისის გაანგარიშებისათვის გამოიყენება ტექნოლოგიური პროცესში გადასამუშავებელი მასალის საათური და წლიური ოდენობები.

i-ური ნივთიერების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = Q \cdot B' / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც Q - არის გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ)

B' - გადასამუშავებელი მასალის მაქსიმალური ერთჯერადი ხარჯი მოწყობილობაზე (დანადგარზე) (კგ/სთ)

i-ური ნივთიერების ჯამური წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = Q \cdot B \cdot 10^{-6}, \text{ ტ/წელ}$$

სადაც Q - არის გამოყოფის კუთრი მაჩვენებელი გადასამუშავებელი მასალის 1 კგ-დან (გ/კგ)

B - გადასამუშავებელი მასალის ჯამური წლიური ხარჯი (კგ/წელ)

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოყვანილია ქვემოთ:

მასალის მაქსიმალური ხარჯი B' -- კგ/სთ

მასალის ჯამური წლიური ხარჯი B -- 42 000 კგ/წელ

Q - დამაბინძურებელი ნივთიერებების კუთრი გამოყოფა: ძმარმჟავა - 1,6 გ/კგ;
ნახშირჟანგი - 0,85 გ/კგ, უჯერი ნახშირწყალბადები - 0,9 გ/კგ

გაანგარიშების საწყისი მონაცემების შესაბამისად:

1555 ეთანმჟავა (ძმარმჟავა)

$$M = 1,6 \cdot 20 / 3600 = 0,00888 \text{ გ/წმ};$$

$$G = 1,6 \cdot 42\ 000 \cdot 10^{-6} = 0,0672 \text{ ტ/წელ}$$

337 ნახშირბადის ოქსიდი (ნახშირჟანგი)

$$M = 0,85 \cdot 20 / 3600 = 0,00472 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,85 \cdot 42\ 000 \cdot 10^{-6} = 0,0357 \text{ ტ/წელ}$$

1033 უჯერი ნახშირწყალბადები

$$M = 0,9 \cdot 20 / 3600 = 0,005 \text{ გ/წმ};$$

$$G = 0,9 \cdot 42\ 000 \cdot 10^{-6} = 0,0378 \text{ ტ/წელ}$$

ამდენად, საწარმოს ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა იქნება:

პოლიმერული მტვერი - 0,0107ტ/წელ

ეთანმჟავა (ძმარმჟავა) - 0,0672 ტ/წელ

ნახშირჯანგი - 0,0357ტ/წელ

უჯერი ნახშირწყალბადები - 0,0378ტ

9. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება

საწარმოს მუშაობას თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყარო წარმოადგენს როტაციული დამქუცმაცებელი. მისი ხმაურის დონის დადგენის მიზნით იდენტურ საწარმოებში ჩატარებულმა ინსტრუმენტულმა გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ხმაურის დონე საწარმოო უბანზე დღისით 45-50 დბა-ია. ვინაიდან საამქრო განთავსებულია დახურულ კაპიტალურ შენობაში, ეს ხმაურის დონეს არანაკლებ 15 დბა-ით ამცირებს. ამდენად, ხმაურის დონე შენობის გარეთ 40-45დბა-ს არ აღემატება. გარდა ამისა საწარმო შენობა უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დაშორებულია 150 მეტრის მანძილზე. ნორმატიული დოკუმენტით _ სანიტარიული ნორმები „ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე“ საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურის დასაშვები დონე, დღის საათებისათვის შეადგენს 55 დბა-ს, ხოლო ღამის საათებისათვის 45 დბა-ს.

ამრიგად, ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში, უახლოეს დასახლებულ პუნქტში არ აღემატება ნორმირებულ სიდიდეს დღის და ღამის საათებისათვის. კაპიტალური კედლის ეფექტურობა შეადგენს 10-15დბა-ს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაურის დონე ვერ გადააჭარბებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა-ს).

10. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო პროცესი არ გამოიყენება ისეთი ნივთიერებები, რომელიც გამოიწვევს ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურებას. მით უმეტეს საწარმოო პროცესი მიმდინარეობს მთლიანად დახურულ კაპიტალურ შენობაში.

მიწისქვეშა და სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკები საამქროს ტერიტორიიდან არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესის მიმდინარეობის დროს გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნედლეული და მასალები, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას.

საამქროს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე წყალი არ ესაჭიროება. საამქროში დასაქმებულია ერთი ადამიანი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სასმელი) წყლის გამოყენება ხდება საამქროს განთავსების ტერიტორიაზე „საქმიანი ეზოს“ ცენტრალური წყამომარაგების ქსელიდან. ასევე „საქმიან ეზოს“ აქვს საერთო სარგებლობის სანიტარული კვანძი და საპირფარეშო, რომელიც მოწყობილია ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე საამქროში არ წარმოიქმნება საწარმოო და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები და შესაბამისად საწარმოდან არ არის მოსალოდნელი ზედაპირული წყლის, ნიადაგის და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება.

11. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საამქრო განთავსებულია ათვისებულ ტერიტორიაზე, წლების წინ აშენებულ შენობა-ნაგებობაში. ამდენად, მისი ფუნქციონირება ლანდშაფტზე რაიმე გავლენას ვერ იქონიებს. საამქროს მიმდებარედ არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე დარგულია და ხარობს სხვა და სხვა სახეობის ერთეული ხემცენარეები, ასევე გავრცელებულია სარეველა მცენარეები. საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არ არის დაფიქსირებული გარეული ცხოველების არსებობა.

საწარმოს ფუნქციონირება არ არის დაკავშირებული მშენებლობასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან. არ იგეგმება ხეების მოჭრა ან ისეთი სამუშაოები, რომლებიც გავლენას მოახდენს მცენარეთა საფარზე. ტექნოლოგიური დანადგარი მოთავსებულია შენობის შიგნით, მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ დღის საათებში, ამდენად ბიომრავალფეროვნებაზე რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამორიცხულია ბუნებრივ ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა.

12. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაზინძურების რისკები

საამქროში ნედლეულის (არასახიფათო ნარჩენების) ტრანსპორტირება განხორციელდება სანიტარიული და გარემოსდაცვითი წესების სრული დაცვით. ნარჩენების ჩატვირთვა/გადმოტვირთვა და ტრანსპორტირებისას მაქსიმალურად იქნება გამორიცხული ნარჩენების დაკარგვა და გაფანტვა გარემოში.

საამქროში მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. ვინაიდან საამქროს ოპერირებას უწევს მხოლოდ ერთი მუშა პერსონალი, საყოფაცხოვრები ნარჩენების რაოდენობა არ აღემატება 0,5 მ³ წელიწადში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის „საქმიანი ეზოს“ ტერიტორიაზე განთავსებულია სპეციალური ბუნკერი, რომლის გატანა ხორციელდება ქ. ქუთაისის დასუფთავების სამსახურის მიერ.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, მათი წარმოქმნა არ ხდება საამქროში. ტექნოლოგიური დანადგარი ფუნქციონირებისათვის საჭიროებს ელექტრო ენერჯიას. ასევე მისი დაზიანის შენთვევაში, შეკეთება/ რემონტი საამქროში არ მოხდება, რაც გამორიცხავს სახიფათო ნარჩენის წარმოქმნას.

13. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე

საამქრო ფუნქციონირების პროცესში ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები მომსახურე პერსონალია. მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება პირდაპირი სახით მოსალოდნელი არ არის, რადგან საწარმოში არ არის გამოყენებული მაღალ ტემპერატურასა და წნევაზე მომუშავე დანადგარები, სახიფათო და ტოქსიკური ნივთიერებები. საწარმოში გამოყენებული დანადგარი (როტაციული დამქუცმაცებელი) არ შეიცავს ავარიის წარმოქმნისა და გავრცელების რისკებს, თუმცა ნედლეული (პოლიეთილენი) და პროდუქცია ხანძრის შემთხვევაში კარგად იწვის.

საწარმოში დაცული იქნება შრომის უსაფრთხოების პირობები: დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასევე საამქროში მოეწყობა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

ობიექტიდან მოსალოდნელი ემისიების სახეობრივმა და რაოდენობრივმა გაანგარიშებამ აჩვენა, რომ საამქრო ექსპლუატაციის პროცესში მოსახლეობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს, რადგან არ არის მოსალოდნელი ემისიების ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობებზე გადაჭარბება.

14. კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია, საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული, არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე საქმიანობების განხორციელებით მოსალოდნელი მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად, გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, საქმიანობის სპეციფიკიდან და განთავსების ადგილიდან გამომდინარე, კუმულაციური ზემოქმედების ერთადერთ საგულისხმო სახედ უნდა მივიჩნიოთ ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება და ხმაურის გავრცელება. კერძოდ, საწარმოს და მის მიმდებარედ არსებული საწარმოების ერთდროული ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული ხმაურის ჯამური ზეგავლენა გარემოს სხვა და სხვა რეცეპტორებზე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმოს გავლენის ზონაში, საწარმოს მომიჯნავე) განთავსებულია და ფუნქციონირებს ანალოგიური ტიპის საწარმოები, რომელთაც სამინისტროსთან შეთანხმებული აქვთ ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშები, კერძოდ: ი/მ გიორგი ჩხიკვაძის პლასტმასის ნაკეთობათა დამამზადებელი საწარმო, რომლის ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა ინვენტირაციის ანგარიშის შესაბამისად შეადგენს: პოლიმერული მტვერი - 0,00268ტ/წელმმარმქავა - 0,00039 ტ/წელ ნახშირჯანგი - 0,00026ტ/წელ უჯერი ნახშირწყალბადები - 0,00117ტ/წელ. ი/მ თეიმურა კუხიანიძის მეორადი პოლიეთილენის ცელოფნის პარკების დამქუცმაცებელი საამქრო, რომლის ფუნქციონირებისას წელიწადში ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მავნე ნივთიერებების რაოდენობა შეადგენს: პოლიმერული მტვერი - 0,000293 ტ/წელ. ამდენად, ობიექტები ფუნქციონირებენ დადგენილი ნორმების შესაბამისად აღნიშულიდან გამომდინარე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

15. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

იმის გათვალისწინებით, რომ ობიექტის ფუნქციონირება ასტიმულირებს და ხელს უწყობს სახვა და სხვა საწარმოო ობიექტების ფუნქციონირებას, საწარმო წვლილს შეიტანს ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაში. საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (ერთ ადამიანია) მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით მაინც დადებითად იმოქმედებს ადამიანის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

საამქრო წარმოებული პროდუქციით ხელს შეუწყობს პოლიეთილენის შემცველი ნაკეთობების დამამზადებელი საწარმოების ნედლეულით მომარაგებას და მუშაობას. ასევე ი/მ თეიმურაზ კუხიანიძე საგადასახადო კანონდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხდის მასზე დაკისრებულ გადასახადებს, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ ბიუჯეტზე.

დანართი



ამონაწერი ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: E19019876, 21/02/2019 10:12:20

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: თეიმურაზი კუხიანიძე
 სამართლებრივი ფორმა: ინდივიდუალური მენარმე
 საიდენტიფიკაციო ნომერი: 60001056477
 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი ნ.ბარათაშვილის ქ. N 26
 დამატებითი ინფორმაცია:
 ელ. ფოსტა: kuxianidze87@mail.ru
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

მისამართი/ეკონომიკური საქმიანობის სახე


- ქალაქი ქუთაისი , ქუთაისი ნ.ბარათაშვილის ქ. N 26 (უნ.კოდი:0001)
 E19019876, 21/02/2019 C.28.96.0;

გამოყენებული ეკონომიკური საქმიანობის სახეების ცნობარი

C.28.96.0 პლასტმასის და რეზინის დასამუშავებელი მანქანების და მოწყობილობების წარმოება

ეკონომიკური საქმიანობის რეგისტრაციის ვადაა 1 წელი რეგისტრაციის მომენტიდან. ამ ვადის გასვლა იწვევს რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების ძალადაკარგულობას, თუ დაინტერესებული პირი არ წარადგენს მოთხოვნას რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში და იუსტიციის სახლებში;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაგსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა შორიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16146400, 25/10/2016 11:29:00

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ქუთაისი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	212680179
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	12\4-282; 29/08/1996
მარეგისტრირებელი ორგანო:	ქ.ქუთაისის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქუთაისი, სულხან-საბას ქ., №8

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 60001092755, მანონი გოლეთიანი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
206070222, საქართველოს უსინათლოთა კავშირი	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა 0303009224 03/12/2001
შპს "ქუთაისი" ს/ნ 212680179
საგანი: მთელი ქონება
საფუძველი: შეტყობინება, N03/1210, 03.12.2001, ქუთაისის საოლქო
საგადასახადო ინსპექცია
- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა 0303009047 03/12/2001
შპს "ქუთაისი" ს/ნ 212680179
საგანი: მთელი ქონება
საფუძველი: შეტყობინება, N03/1210, 03.12.2001, ქუთაისის საოლქო
საგადასახადო ინსპექცია

მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

-
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
 - ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
 - ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
 - კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
 - საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
 - თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882021263295 - 06/04/2021 13:34:27

მომზადების თარიღი
06/04/2021 19:01:03

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ქუთაისი	ვაკისუბანი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 18364.00 კვ.მ.
03	05	04	122	ნაკვეთის წინა ნომერი: 03.05.01.430 ;
მისამართი: ქალაქი ქუთაისი, გამზირი სულხან-საბა, N 8, (ნაკვ 04/122)				შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 842.12 კვ.მ. (მათ შორის სასარგებლო ფართი 829.17 კვ.მ., დამხმარე ფართი 12.95 კვ.მ.)

შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882009025244 , თარიღი 04/02/2009 14:12:43
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 10/02/2009

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები:

- ოქმი, N264 15, გაფორმების თარიღი: 14/05/1947, საქ. საბჭოს აღმასკომი
- გადაწყვეტილების ოქმი, N42 3, გაფორმების თარიღი: 13/11/1958, საქ. საბჭოს აღმასკომი
- მომართვა, N430, გაფორმების თარიღი: 11/06/1999, ქ. ქუთაისის მიწის მართვის სამმართველო
- 1977 წლის გადაწყვეტილება, N24/24-780, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი
- ბრძანება Nბ10.01172922, დამოწმების თარიღი: 19/10/2017, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია არქივტექსტურისა და ზედამხედველობის სამსახური
- საქართველოს უსინათლოთა კავშირის შპს სსწ "ქუთაისი" -ს მომართვა გაყოფის შესახებ, N03/05/10818, გაფორმების თარიღი: 17/11/2005
- გადაწყვეტილება (ოქმი N23 17), N485, გაფორმების თარიღი: 24/09/1969, საქ. საბჭოს აღმასკომი
- დადგენილება, N12/4-282, გაფორმების თარიღი: 29/08/1996, ქ. ქუთაისის სასამართლო
- გადაწყვეტილება, N9/54-318, გაფორმების თარიღი: 16/05/1979, ქ. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

შესაკუთრები:

საქართველოს უსინათლოთა კავშირის შპს "ქუთაისი", ID ნომერი: 212680179

შესაკუთრე:

საქართველოს უსინათლოთა კავშირის შპს "ქუთაისი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

- საგადასახადო გირაუნობა/იპოთეკა: 0303009047 03/12/2001

შპს "ქუთაისი" ს/ნ 212680179

საგანი: მთელი ქონება

საფუძველი: შეფასობინება, N03/1210, 03.12.2001, ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექცია

- საგადასახადო გირაფონობა/იპოთეკა: 0303009224 03/12/2001

შპს "ქუთაისი" ს/ნ 212680179

საგანი: მთელი ქონება

საფუძველი: შეფასობინება, N03/1210, 03.12.2001, ქუთაისის საოლქო საგადასახადო ინსპექცია

სარეგისტრაციო

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი

882019971657

თარიღი 21/11/2019

16:29:58

უფლების

რეგისტრაცია: თარიღი

27/11/2019

მოიყარე შპს "იფელი დილომი" 202296194;

საგანი: შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობი 842.12 კვ.მ. - დან 200 კვ.მ.;

საბოლოო თარიღი: 22/11/2020;

ხელშეკრულება იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი 21/11/2019, საქართველოს იუსტიციის
სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული საბაზენგო

ვალიტებულება

ყადალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთ რეგისტრ:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სამუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდის ექვემდებარება საინტარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს ლეკარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალიტებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეგისტრის ეროვნული საბაზენგოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და საბაზენგოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გვენიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეგისტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge




საკადასტრო გეგმა

საქართველოს ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **03.05.04.122**
განცხადების ნომერი: **892017003506**
შომზადების თარიღი: **26/10/2017**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო საშენი**
ფართობი: **18364 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



05/25 მშენებარე ნაკვეთი	05/25 შენობა/ნაკვეთი	ტყის ფონდი
ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი	საზღვარი ნაკვეთი	ვალდებულება

ხელშეკრულება

ორსადაცხოვრებელი ფართობის მოკლევადიანი იჯარით
გაცემის შესახებ

2019 წ. 7.10

ქუთაისი

საქ. უსინათლოთა კავშირის შპს "ქუთაისის" დირექტორი
შემდგომში შეიჯარე მანონი გოლეტიანის სახით. ერთის მხრივ და
~~ინფორმაციის გაცემის შესახებ~~
მეორეს მხრივ შემდგომში "მოიჯარედ" წოდებული,
დადეს წინამდებარე ხელშეკრულება. შემდგომში საიჯარო
ხელშეკრულება წოდებული შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. ხელშეკრულების თანახმად შეიჯარე გადასცემს, ხოლო მოიჯარე
იღებს ~~2019 წლის 20 მარტის~~ ~~2019 წლის 20 მარტის~~ ~~2019 წლის 20 მარტის~~
~~საიჯარო ხელშეკრულება~~ ~~საიჯარო ხელშეკრულება~~ ~~საიჯარო ხელშეკრულება~~
- 1.2. იჯარით გადაცემული ქონება წარმოადგენს "მოიჯარის" საკუთლებას
და გამოსყიდვას არ ექვემდებარება.
- 1.3. იჯარით გასაცემი ქონების გადაცემა და დაბრუნება ხორციელდება
მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც აწვორმებენ
მხარეები და იგი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ
ნაწილს.

2. საიჯარო ქირა

- 2.1. "მოიჯარე" ვალდებულია ყოველთვიურად გადაუხადოს "შეიჯარეს"
~~2019 წლის 20 მარტის~~ ~~2019 წლის 20 მარტის~~ ~~2019 წლის 20 მარტის~~ საიჯარო ქირის
გადახდას "მოიჯარე" აწარმოებს ყოველი სამდევნო თვის
რიცხვამდე.
- 2.2. საიჯარო ქირის გადახდა არ ათავისუფლებს "მოიჯარეს" კანონით
გათვალისწინებული სხვა გადასახადისაგან თუ სხვა რამ არ არის
გათვალისწინებული საქ. რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.
- 2.3. გადახდის ვადის გადაცილებისათვის "მოიჯარე" უხდის "შეიჯარეს"
პირგასამტეხლოს ხელშეკრულების თანხის 0,1%-ის ოდენობით
ყოველი გადაგადაცილებული დღისათვის.
- 2.4. "მოიჯარე" ვალდებულია გადაუხადოს "შეიჯარეს" როგორც
აბონენტს ყოველთვიურად ელ. ენერჯის ღირებულება მრიცხველის
ჩვენების მიხედვით. იმ შემთხვევაში თუ მრიცხველი არ არის
დამონტაჟებული "მოიჯარე" ვალდებულია თავად უმოკლეს დროში
უზრუნველყოს მისი შექმნა მონტაჟი. ელ. ენერჯის გადახდის ვადა
მომდევნო თვის ~~20~~ რიცხვამდე.

2.5. უზრუნველყოს და პასუხი აგოს იჯარით გადაცემული ქონების სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების მკაცრ დაცვაზე.

3. იჯარით აღებული ქონების სარგებლობის მიზანი

3.1. "მოიჯარე" გამოიყენებს იჯარით გადაცემულ ფართს -----

~~ქვემოთ აღწერილი ნაშენობის უწყვეტად~~

4. მხარეთა უფლება მოვალეობანი

- 4.1. "მეიჯარე" საიჯარო ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე გადასცემს "მოიჯარეს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფართს.
- 4.2. "მოიჯარე" ვალდებულია მოუწოდოს იჯარით აღებულ ქონებას.
- 4.3. "მოიჯარე" დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ასიჯარო ქონების გამოყენებით შექმნილი შემოსავალი, აგრეთვე ამ შემოსავლის ხარჯვით შექმნილი ქონება ეკუთვნის "მოიჯარეს".
- 4.4. "მეიჯარე" უფლებამოსილია ცალმხრივად გააუქმოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ "მოიჯარე" განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს ფართის მდგომარეობას. დანიშნულებისამებრ არ იყენებს საიჯარო ფართს. არ იხდის საიჯარო ქირას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.
- 4.5. "მეიჯარეს" უფლება აქვს მოითხოვოს წინასწარ საკუთრი ინტერესებიდან გამომდინარე ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, რაც ერთი თვით ადრე უნდა შეატყობინოს "მოიჯარეს".
- 4.6. "მოიჯარეს" უფლება აქვს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმებისა, თუ საიჯარო ქონება გამოუსადეგარი გახდება იმ გარემოებისა გამო, რომლისათვისაც "მოიჯარეს" პასუხისმგებლობა არ ეკისრება.
- 4.7. იჯარის პერიოდში "მეიჯარესა" და "მოიჯარეს" შორის ხელშეკრულების შუსრულებლობის ან გაუქმების თაობაზე წარმოქმნილ სადამსჯელ საკითხს განიხილავს და წყვეტს სასამართლო არსებული კანონმდებლობის შ საბაზისად.

5. "მეიჯარისათვის" ქონების დაბრუნება

1. თუ "მოიჯარე" საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ქონებას უკან აბრუნებს, იგი საიჯარო ქირის გადახდისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და "მეიჯარისათვის" მისაღებ "მოიჯარეს".

რომელიც თანახმა უნდა იყოს იჯარით ხელშეკრულება მიიღოს იგივე პირობებით.

- 5.2. თუ "მოიჯარე" ვერ შესთავაზებს ასეთ "მოიჯარეს" მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს ურთიერთობათა დასრულებამდე.
- 5.3. საიჯარო ხელშეკრულებისგადის გასვლის შემდეგ "მოიჯარე" ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით დაუბრუნოს "მოიჯარეს" ქონება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მდგომარეობაში.
- 5.4. თუ "მოიჯარემ" გააუარესა საიჯარო ქონების მდგომარეობა მან უნდა აუნაზღაუროს "მოიჯარეს" მიყენებული ზარალი საბაზრო ფასებით.
- 5.5. ხელშეკრულება შედგენილია 2 ცალად, რომელიც ჩაბარდა ორივე მხარეს.

მოიჯარე

სულხან-საბას ქუჩა №8
კოდი 212680179
ანგ. 008467310

დირექტორი



მოიჯარე

იხილეთ თქვენს ხელმოწერა
მუხ. ი. ქოსოიძის კომპანია №216
ს/ს 60001056477

თ. 568-303-229

Handwritten signature

Company Name **GIA KARTOZIA**
Cargo **DANAWEVREBULI TOKI**
Container Number
Indicated Tare Weight on Container

OPERATOR 1 **Giorgi Gugushvili**
OPERATOR 2 **Giorgi Gugushvili**



II Weight **3 620** KG 11/05/22 11 : 39
Gross **3 620** KG
Tare Of Truck **2 360** KG
Indicated Tare Weight on Container
Cargo Weight **1 260** KG

Ticket Number **4859**

Lifting Global Trade.
APM TERMINALS

Truck Number **A0901AA**
Trailer Number
Destination **POTI**
Company Name **GIA KARTOZIA**
Cargo **DANAWEVREBULI TOKI**
Container Number
Indicated Tare Weight on Container

OPERATOR 1 **Giorgi Gugushvili**
OPERATOR 2 **Giorgi Gugushvili**



Date Time
I Weight **2 360** KG 11/05/22 10 : 5
II Weight **3 620** KG 11/05/22 11 : 39
Gross **3 620** KG
Tare Of Truck **2 360** KG
Indicated Tare Weight on Container
Cargo Weight **1 260** KG

Ticket Number **4859**

Lifting Global Trade.
APM TERMINALS


Truck Number **A0901AA**
Trailer Number
Destination **POTI**
Company Name **GIA KARTOZIA**
Cargo **DANAWEVREBULI TOKI**
Container Number
Indicated Tare Weight on Container

OPERATOR 1 **Giorgi Gugushvili**
OPERATOR 2 **Giorgi Gugushvili**



Date Time
I Weight **2 360** KG 11/05/22 10 : 5
II Weight **3 620** KG 11/05/22 11 : 39
Gross **3 620** KG
Tare Of Truck **2 360** KG
Indicated Tare Weight on Container
Cargo Weight **1 260** KG

გენ-გეგმა



1. გრანულატორი გ-1 წყარო
2. როტორული დამქუცმაცებელი გ-2 წყარო
3. ნედლეულის საწყობი
4. მზა პორდუქციის საწყობი
5. x y კოორდინატთა „0“ წერტილი


307710

307740



4679950


4679920




	x	y
1	307719.9	4679942.04
2	307724.79	4679938.87
3	307717.77	4679928.98
4	307713.02	4679932.34
S = 70 33.0		

მასშტაბი: 1:300

WGS 84 / UTM zone 38 N



03.05.04.122



42.675103, 42.249423 1 : 4604 გეოგრაფიული (გრძედი, განედი) ✓



ა(ა)იკ "ქუთაისის არქიტექტურის,
ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა
დაცვის სააგენტო"
N(N)LE " ARCHITECTURE, URBAN
PLANNING AND MONUMENT
PROTECTION AGENCY OF KUTAISI"



წერილის ნომერი: 10-44222281
თარიღი: 16/08/2022

ადრესატი: შპს ელსპაუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 412756334
მისამართი: ქუთაისი, აბათიანის ქ.98

ბატონო ზვიად,

თქვენი N 10/4422227245-44 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ N 03.05.04.122 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განაშენიანების პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ რომ ამჟამად მიმდინარეობს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენერალურ გეგმის დამუშავების პროცესი და აღნიშნულ ტერიტორია მოიაზრება როგორც სამშენებლო ზონა - ინდუსტრიული ზონა(იზ); სამშენებლო ქვეზონა- საწარმოო ზონა (იზ-1) , რომლის ქალაქგეგმარებითი პარამეტრებია კ1- საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე; კ2- საჭიროების მიხედვით, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე და კ3 - 0,2.

„ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად:

1. სამეწარმეო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშროება/ მავნე საწარმოო პროცესები.

2. ნებადართული სახეობებია:

- ა) საწარმოო ობიექტი;
- ბ) ღია და დაზღურული საწყობი;
- გ) ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

3. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს სხვა არამავნე მრეწველობის ობიექტები.

პატივისცემით,

რუსუდან ჩინჩალაძე

ა(ა)იკ „ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს“ უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



